**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# გრიგოლ ასათის ძე

გრიგოლ ასათის ძე, ჰერეთის ერისთავი XII ს. თამარის მეფობის დროს. ეს სახელო მას მამამ, ასათ გრიგოლისძემ, გადასცა მას შემდეგ, რაც თვითონ „იაჯა არიშიანის ადგილისა დაჯდომა სასთაულითა". მონაწილეობდა განძის ლაშქრობაში.

*წყარო:* ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

***მ. ზალდასტანიშვილი***